მეტეხის ქუჩა №20

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის ისტორიული უბნის – ავლაბრის უძველეს ნაწილში, მეტეხის ქუჩისა და ფერისცვალების შესახვევის გადაკვეთასთან მდებარეობს.



მეტეხის ქუჩა – საპროექტო ტერიტორია.

უბნის დასახელება „ავლაბარი“ პირველად 1392 წელს გვხვდება. თავიდან ის, როგორც ჩანს, აღნიშნავდა ისნის ციხის გალავნის გარეთ მდებარე ტერიტორიას. შემდგომ ხანებში ისანი და ავლაბარი არსებითად სინონიმებად იქცა და ორივე გულისხმობდა მთლიანად უბანს – თავისი ციხით და ციხის გარეთ მდებარე დასახლებით. ქართულ წყაროებში „ისანი“ პირველად „მატიანე ქართლისაში“ იხსენიება 1045 წლის მოვლენებთან დაკავშირებით (ბაგრატ IV-ის

მიერ თბილისის აღებიც ცდა). უფრო დიდ გარემომცველ ტერიტორიას „ისნის ველს“ უწოდებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილისათვის ავლაბარი ისნის ახალი სახელია: „აწ უწოდებენ... ისნს – ავლაბარს“.

ისნამდე ამ ადგილს “სოღდებილი” ერქვა – ამ სახელწოდებას არაბული საისტორიო წყაროები სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანს (531-578/79) უკავშრებს, როგორც ჩანს, უკვე VI საუკუნიდან აქ იყო ციხეც. სოღდებილი ხშირად გვხვდება არაბ ისტორიკოსებთან - ზოგი მათგანი მას ოლქად მიიჩნევს, უმეტესობა ქალაქად, ზოგი თბილისის ნაწილად თვლის. ქართულ წყაროებში “სოღდებილი” არ არის დამოწმებული, თუმცა იმ გეოგრაფიული პუნქტის სახელად, რომლის ლოკალიზაციაც სოღდებილისას ემთხვევა, “საღოდებელი” და “საგოდებელი” გვხვდება, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში ავლაბრის ტერიტორიაზე მდებარე სადილეგოსა და სასაფლაოს („საგოდებელი“) უნდა აღნიშნავდეს, რომლებიც „აბო ტფილელის მარტვილობაში“ იხსენიება.


855 წელს ბუღა-თურქის შემოსევების დროს გადამწვარი ციხე თბილისის ამირებმა მალევე აღადგინეს და ისან-ჰისარი უწოდეს. შემდგომში სახელწოდება ციხის მიმდებარე უბანზეც გავრცელდა.

XV-XVI საუკუნეების ძნელბედობის ჟამს ავლაბარი, როგორც ჩანს, დაცარიელდა. XVII საუკუნიდან მისი ხელახლა გამოცოცხლება უკავშირდება როსტომ მეფეს (1632-1658), რომელმაც აქ წოდორეთიდან ჩამოასახლა ყმა გლეხები.

ვახუშტის 1735 წლის გეგმაზე მეტეხის გალავანი თბილისის ციხის გაგრძელებას წარმოადგენს. თბილისის ციხის უბანი და ავლაბრის მეტეხის უბანი ერთი მთლიანი გალავანშემორტყმული არეალია, რომელსაც მტკვარი შუაზე ჰყოფს. მტკვარზე გადებული ხიდი ამ ორ გამაგრებულ პუნქტს აკავშირებს, მეტეხის ციხის მიმდებარე ტერიტორია კი შემოუზღუდავია. იგი სამხრეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თხრილითაა შემოფარგლული და მასზე საცხოვრებელი სახლების აღმნიშვნელი უჯრედებია დატანილი. XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის ავლაბარში ორი გალავანი იყო: ერთი მთელი ავლაბრის ტერიტორიას ერტყა გარს, მეორე – მის შიგნით, მეტეხის გარშემო იყო

შემოვლებული მტკვრის პირამდე. პირველს ავლაბრის გალავანი ეწოდებოდა, მეორეს კი – ტფილისის გალავანი.

ავლაბრის დიდ გალავანს ჩრდილოეთით დატანებული ჰქონდა ქალაქის მეექვსე კარი – „ავლაბრის კარი“, საიდანაც იწყებოდა გზა კახეთისაკენ (ახლანდელი ქეთევან წამებულის გამზირი). ავლაბრის კარიდან შიგნით შემავალი გზა, რომელიც დღევანდელ მეტეხის ქუჩას ემთხვევა, ორ ნაწილად ყოფდა უბნის ტერიტორიას. ამ ქუჩაზე მდებარეობდა სანოვაგის ბაზარი.



ავლაბარი ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე.

ამ გეგმის მიხედვით ისანში შემოზღუდულია მხოლოდ მეტეხის ტერიტორია, ხოლო საკუთრივ ავლაბრის ტერიტორიას გარს ხევები და თხრილები უვლის. პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე უკვე შემოზღუდულია ავლაბრის მთელი ტერიტორია.

XVIII საუკუნეში ავლაბარი სახასო მამული იყო. აქ ცხოვრობდნენ მეფის, დედოფლის, თავად-აზნაურების, საკათალიკოსო და საეპისკოპოსო ყმა-გლეხები. ავლაბარში ქართველების გარდა სომხები და მუსლიმებიც სახლობდნენ.

XIX საუკუნიდან იწყება ავლაბრის ტერიტორიის სწრაფი ზრდა. რუსული ხელისუფლება ცდილობდა ახალი უბნები რეგულარულ საწყისზე დაეგეგმა - გაესწორებინა ძველი ქალაქის ქუჩები და ჩიხები.




ავლაბრის პანორამის ფრაგმენტი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა რამდენიმე ქალაქგეგმარებითი პროექტი, რომლებიც განუხორციელებელი დარჩა. 1827 წელს გუბერნატორ სიპიაგინის დავალებით შედგენილ ავლაბრის ტოპოგრაფიულ რუკაზე ცალკეული ქუჩები და კვარტლებია დაგეგმილი. 1828 წელს შედგა მეორე დოკუმენტი – „Новый план г. Тифлиса". ამ უკანასკნელის მიხედვით, შიგნით ავლაბარში გათვალისწინებულია ქუჩების გასწორება, ვიწრო შესახვევების გაუქმება და განივი ქუჩების გაყვანა. ავლაბრის უბანში (გარეთა ავლაბარში) მოუწესრიგებელ განაშენიანებას სწორკუთხა კვარტლები ცვლის. ამ ორი უბნის შეერთების ადგილას წახნაგოვანი დიდი მოედანი (დღევანდელი ავლაბრის მოედნის ადგილას) თავს უყრის ქუჩების ქსელს. 1831 წელს მომზადდა ავლაბრის დაგეგმარების კიდევ ერთი პროექტი, დამტკიცებული მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ. ეს პროექტი მხოლოდ ავლაბრის ახალ უბანს მოიცავდა და არა ძველ, გალავანშემორტყმულ ავლაბარს. აღნიშნული პროექტები ვერ

განხორციელდა, რადგან აუცილებელი ხდებოდა უკვე გაზრდილი და გაშენებული უბნის დანგრევა.

ავლაბრის შემდგომი განვითარება კარგად ჩანს თბილისის სხვადასხვადროინდელ გეგმებზე. 1867 წლის გეგმაზე ქალაქი ოთხ ნაწილს მოიცავს: გარეთუბანს, ძველ ქალაქს, ავლაბარსა და კუკია-ჩუღურეთს. ავლაბარი მესამე ნაწილშია მოქცეული. შიგნითა ავლაბარში ქუჩებს უკვე აქვს სახელწოდებები, გარე ავლაბარში – მეტწილად არა. მეტეხის ქუჩა №4-ით არის აღნიშნული - მას თავიდანვე ასე ჰქვია; დღევანდელი ფერისცვალების ქუჩა (№6) რუკაზე დართულ ანოტაციებში ავლაბრის მესამე ქუჩად მოიხსენიება.



მეტეხის მიმდებარე ტერიტორია 1867 და 1903 წლების გეგმებზე.

XX საუკუნის დასაწყისამდე ავლაბარს „აზიური“ სახე ჰქონდა მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებით, ერთ-ორსართულიანი სახლებითა და დუქნებით. მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ სომხები, რომლებიც წვრილი ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. აქ ასევე ქართველები და ქართველი ებრაელებიც ცხოვრობდნენ. უბანს ძირითადად საცხოვრებელი ფუნქცია ჰქონდა, თუმცა XIX საუკუნის მიწურულისათვის აქ სხვა დანიშნულების შენობებიც აიგო.

1903 წლის თბილისის გეგმის თანახმად, ავლაბარში იყო უსინათლოთა სასწავლებელი, საეკლესიო სამრევლო სკოლა, ვაჟთა მე-5 გიმნაზია, ბავშვთა

თავშესაფარი, ფაბრიკა, VII საპოლიციო უბნის სამმართველო, ყაზარმები და სხვა.

საპროექტო ტერიტორია

მეტეხის და მისი მიმდებარე (ფერისცვალების ქუჩა, ფერისცვალების შესახვევი, ჩეხოვის შესახვევი, ჩეხოვის ქუჩა, მეტეხის შესახვევი და სხვა) ქუჩების გეგმარება მეტ-ნაკლებად რეგულარულად განვითარდა, თუმცა ბუნებრივი რელიეფის დიდი გავლენით – ქუჩების მოხაზულობა ხშირ შემთხვევაში მრუდია, განსხვავდება მათი დონეებიც. ეს ძირითადად საცხოვრებელი უბანია - სახლების უმეტესობა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში იყო აგებული. მიკროუბნის დომინანტს წარმოადგენდა, ამჟამად სანახევროდ დანგრეული, ღმრთისმშობლის გრიგორიანული ეკლესია.

ბოლო ათწლეულებში აგორებულმა გაუაზრებელი, სტიქიური მშენებლობების ტალღამ მნიშვნელოვნად შეცვალა ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს მასშტაბი; მოიშალა მიკრო-უბნის სივრცითი და გეგმარებითი კონფიგურაცია. ამის მიუხედავად, თავდაპირველი გარემოს სივრცით-არქიტექტურულ კონტექსტი და გეგმარებითი სტრუქტურა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია.

უბნის განაშენიანებაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახლის ფასადი და ქუჩისკენ გახსნილი ეზოები, რომლებიც თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი: გამოირჩევა სახლები ფერისცვალების ქ. №25 და № 28, ფერისცვალების შეს. №№2, 5, 7, საპროექტო შენობის მიმდებარედ მეტეხის ქ. №18 (ბოლო წლების ცუდად ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ შეცვალა სახლს თავდაპირველი სახე), ქუჩის გადაღმა მეტეხის ქ. №19, მეტეხის ქ. №14 და სხვა, რომელთა ხის აივნიანი ფასადების, აგურის კედლებისა და ეზოთა “მიკროსტრუქტურების” მონაცვლეობა დღესაც განსაზღვრავს უბნის კამერულ ხასიათს და ურბანულ-არქიტექტურულ ღირებულებას.

მეტეხის ქ. №18, რომელიც უშუალოს ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას, ორი შენობისგან შედგება - ქუჩის ფასადები ყურადღებას იქცევს ზომიერი

მასშტაბით. ერთი მათგანი კარგი ხარისხის აგურის წყობით, სადა პროფილებით, ე. წ. “აგურის სტილის” გვიანი ნიშნებით გამოირჩევა, მეორე კი მიუხედავად ბოლო წლებში ჩატარებული, არც თუ წარმატებული რეკონსტრუქციისა, მაინც ინარჩუნებს ღირებულებას – მისი მთავარი კომპონენტი ქუჩების მთელ პერიმეტრზე გადმოკიდული თბილისური ხის აივანია.



მეტეხის ქ. №18.

მეტეხის ქ. №16 – 1990-იანი წლების ბოლოს აშენებული, ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი უსახური მასებითა და შეუსაბანო მოცულობით გამოირჩევა და მნიშვნელოვნად არღვევს ქუჩის განაშენიანების მასშტაბს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანებაში აქტიური ადგილი უჭირავს ქეთევან წამებულის გამზ. №1 შენობას, რომლის ტორსოსა და ზურგის ფასადები ჩართულია მეტეხის ქუჩის ურბანულ სრტუქტურაში - შენობას ქუჩის ვრცელი მონაკვეთი უკავია. ის ძველი სტრუქტურის გამოყენებით არის

განახლებული – არ არის შეცლილი მთავარი ფასადების კომპოზიციური სქემა, რომელიც მოდერნის ნიშნებს ატარებს; მოდერნის ნიშნების შემცველია არქიტექტურის ზოგადი დეკორატიული ელემენტებიც, როგორიცაა პარაპეტის ერკერების გამასრულებელი კონფიგურაციები. ზურგის ფასადი დეკორატიული კრომშტეინების გარდა სხვა ღირებულ დეტალებს არ შეიცავს და ძალიან გამარტივებულია.



ქეთევან წამებულის გამზ. №1

საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირედ მდგარ მეტეხის ქ. №19 – ორსართულიან მომცრო შენობას შენარჩუნებული აქვს ღირებული არქიტექტურული დეტალები, ორნამენტული ფარდებით გაფორმებული შეკიდული ხის აივანი და სადარბაზოს კარი. მის გვერდით, მეტეხისა და ფერისცვალების ქუჩების გადაკვეთასთან, ამჟამად რამდენიმე სართულიანი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს.

რაც შეეხება განსახილველ ტერიტორიას, აქ ადრე ორსართულიანი ნეოკლასიცისტური ტიპის საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელიც ამჟამად დანგრეულია. შენობის ფასადების მხატვრულ სახეს რამდენიმე კომპონენტი ქმნიდა – თუჯის, ეკლექტური დეკორით გაფორმებული აივანი, ტრანსფორმირებული კომპოზიტური კაპიტელები, რომლებიც მთავარი ფასადის დამანაწევრებელ პილასტრებს აგვირგვინებდა, ღიობების შემამკობელი თავსართები, დეკორატიულად გაფორმებული პარაპეტი და ა.შ. ფერისცვალების შესახვევისკენ გამავალი ტორსოს ფასადი უფრო გამარტივებული იყო.



მეტეხის ქ. №20 – 2011 წლის ფოტოსურათი.

სახლი მტკვრის ქუჩისა და ფერისცვალების შესახვევის შესაყართან იყო აგებული და სხვა შენობებთან ერთად აყალიბებდა განაშენიანების მასშტაბს.

ფერისცვალების შესახვევის მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ბოლო წლებში განახლებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ფერისცვალების შეს. №9), რომლის მთავარი ფასადი ძალიან მარტივი და

სქემატურია, თუმცა დაცულია, როგორც შენობის ძველი მასშტაბი, ისე საფასადო კომპოზიცია.



ფერისცვალების შეს. №9 – საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე შენობა.

მეტეხის ქუჩიდან საპროექტო ტერიტორიას №18 სახლის კედელი საზღვრავს, რომელიც სიძველის საყურადღებო ნიშნებს ინარჩუნებს – მიწის სართულის დონეზე ძველი აგურის წყობაში მშვილდა თაღებით შემოფარგლული ნიშებია ჩართული, პირველი და მეორე სართულების სართულშუა გადახურვა ხის კოჭების ფოსოებით არის მონიშნული. უდაოდ განირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა - აქ ადრე არსებული ძველი შენობის კედელი, რომელიც შემდგომდროინდელ მშენებლობაში იყო ჩართული. ზედა რეგისტრში შემორჩენილია თვალშისაცემი დეტალი –კბილენისებრი არშიით გაფორმებული და მარტად პროფილირებული სწორკუთხა ნიში, რომელიც ნალესობით არის დაფარული.



მეტეხის ქ. №20 – საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე კედელი.

საპროექტო ტერიტორია ღირებულია, როგორც ურბანული, ისე ისტორიული თვალსაზრისით - ეს გახლავთ ძველი ავლაბრის საკვანძო ნაწილი. მთელი რიგი უხეში ჩარევების მიუხედავად, უბანს შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი გარემოს მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ტერიტორია კარგად ჩანს ქეთევენ წამებულის გამზირიდანაც.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია მეტეხის ქ. №20-ის ტერიტორიაზე ადრე არსებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ადგილას ახლი შენობის აგება.

- მნიშვნელოვანია, რომ მეტეხის ქუჩის განაშენიანება, ჯერ კიდევ 1990-იან წლებამდე ინარჩუნებდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელ მასშტაბსა და ურბანულ სტრუქტურას. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანებაში დღემდე გამოირჩევა თბილისური არქიტექტურის რამდენიმე კარგი ნიმუში, რომელთა მახასიათებლების გათვალისწინება რეკომენდირებულია მომავალი პროექტირებისას – ახალი მშენებლობისას შესაძლებელია აქ არსებული ძველი ფორმების ინტერპრეტაცია.
- ყურადღებას იქცევს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე შენობა - მიუხედავად ბოლო წლებში ჩატარებული, არც თუ წარმატებული რეკონსტრუქციისა, ღირებულებას ინარჩუნებს სახლი მეტეხისა და ფერისცვალების კუთხესთან (მეტეხის ქ. №18).
- ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიულ გარემოს და სამშენებლო ტექნიკას. მშენებლობისას სიფრთხლეა საჭირო ახალი მასალის ათვისებისას; არასასურველია მინის დიდი სიბრტყეების გამოყენება, სრულიად მიუღებელია ძველი და ახალი ფორმების მექანიკური შექწყმა – მსგავსი მაგალითი გვაქვს მეტეხის ქ. №22.
- ახალი შენობის აგება დასაშვებია ქუჩის ისტორიული განაშენიანების და სადღეისოდ ჩამოყალიბებული მასშტაბის გათვალისწინებით. შენობის ზედა ნიშნულად ქეთევან წამებულის გამზ. №1 შენობის სიმაღლე შეიძლება ჩაითვალოს.
- სასურველია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე №18 სახლის კუთვნილი კედლის გამაგრება და შენარჩუნება, მისი რესტავრირება და ჩართვა თუნდაც ეზოს ცივრცეში.

- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სავალდებულოა მიმდებარე - ფერისცვალების შეს. №9 სახლის უკანა კედლის კონსტრუქციული გამაგრება.



მეტეხის ქ. №20 – საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ამორტიზებული კედლები.

- საკვლევი ტერიტორია სენსიტიურია არქეოლოგიური თვალსაზრისით. სამშენებლო სამუშაოებს სასურველია წინ უძღოდეს არქეოლოგიური შეფასება.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960; ტ. II, 1961.
2. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები: ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1947, გვ. 127-144.
3. თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977.
4. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977.
5. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965.
6. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, თბილისი, 1985.
7. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. IV, თბილისი, 1973.
8. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოცემა, წიგნი I, თბილისი, 1955.
9. ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, 1971.
10. В. Цинцадзе, Тбилиси – Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия, Тбилиси, 1958.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №895631

ნომერი: AR1160322

თარიღი : 09.09.2013

გაცემის თარიღი : 19.09.2013

გაცნობის თარიღი : 19.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეტეხის , N 20 ;

თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 36

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ხუხაშვილი პ/ნ 01007011144

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ხუხაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მეტეხის ქ. N20–ში სასტუმროს ესკიზური პროექტის წინასწარ შეთანხმებას.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N36, 10.09.13წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, მეტეხის ქ. N20–ში სასტუმროს ესკიზს.

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.